

**გურჯაანის რაიონული სასამართლოს ანგარიში**  
**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო**  
**ინფორმაციის გაცემის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მესამე თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე გიორგი გიორგაშვილი.

სასამართლოს საქმიანობის თავისებურებათა გათვალისწინებით გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემა მოიცავს: მოთხოვნილი მასალების ქსეროასლების მიწოდებას, სტატისტიკურ მონაცემთა გაცემას, სასამართლოს საქმეების გაცნობას და ა. შ.

2013 წლის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 8 განცხადება მათ შორის:

1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის - 2;
2. არასამთავრობო ორგანიზაციის - 6

შემოსული განცხადებებიდან 7 მოთხოვნა დაკმაყოფილდა, 1 შემთხვევაში განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის, საჯარო მოსამსახურის, სასამართლოს მენეჯერის გიორგი გიორგაშვილის მიერ.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში არ შემოსულა. საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.